



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდიუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უკადრისბბაჟ უსბბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-ორშაბათი, 22-24 აგვისტო. 2020 წ. №104 (9030)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

ამ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ დასრულდება



4

ავადყოფი ფანები თუ ჰყავს, ისევ მიზანს ჰყავს, თორემ სხვა ლიღარებს ვინ აქლავს ხმას?..

2

ბიორბი ბახარია: ჩვენ გავაბრძოლებთ საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებას!

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) და აშშ-ის საელჩოს ნიჭიერ პროფესიონალებთან მჭიდრო თანამშრომლობით გავაგრძელებთ საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებას და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას, - ასე ესმაურება საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია DFC-ის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებას, რომელიც ადამ ბოულერმა Twitter-ზე გამოაქვეყნა.



მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის და ადამ ბოულერის მხარდაჭერას განსაკუთრებით აფასებს. გიორგი გახარიამ ადამ ბოულერი საქართველოში მიიწვია.

ახალქალაქში ენულ მკოიანის გამო დაპირისპირება არ წყდება!



„ქართული ოცნების“ დეპუტატის ენულ მკოიანის თქმით, ახალქალაქში, უნივერსიტეტის გზაზე მისი ძმის მანქანის აფეთქება სცადეს, ამ ეტაპზე უცნობია მოხდარის შედეგად არიან თუ არა დაშავებულები.

ინფორმაციას ენულ მკოიანი ფეისბუქის გვერდზე ავრცელებს. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები. ენულ მკოიანი არ გამორიცხავს, რომ აფეთქება იმ პირებთან იყოს კავშირში, რომლებიც მას ემუქრებიან.


ხვიჩა მღებრიშვილს ოსებმა 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს!

გამყოფ ხართან დაკავებულ ხვიჩა მღებრიშვილს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ხვიჩა მღებრიშვილის ახლობლები იმედოვნებდნენ, რომ დაკავებულის გათავისუფლება დღეს მოხდებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ე.წ. სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყვეს, საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ და დაკავებულის უპირობოდ გასათავისუფლებლად ღონისძიებების გასატარებლად 10-დღიან ვადას აძლევენ. დაკავებულის ძმის ჯუმბერ მღებრიშვილის თქმით, იმ შემთხვევაში თუ 10 დღის ვადაში არ მოხდება დაკავებულის უპირობოდ გათავისუფლება, პროტესტის ნიშნად ფართოსმაშტაბიან აქციას გამართავენ.

შეზავსენაბთ, მეფერისხევის მცხოვრები ხვიჩა მღებრიშვილი საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 3 ივლისს დააკავეს, მოგვიანებით კი, დე ფაქტო ცხინვალის ე.წ. უშიშროების კომიტეტმა ინფორმაცია გაავრცელა, თითქოს, მღებრიშვილი ოკუპირებული რეგიონის ტერიტორიაზე შეგნებულად გადავიდა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ღამურების დაჭერას ცდილობდა.

თვალსაჩინო მეცნიერი, დირსეული მოღვაწე

5



ვახტანგ პაპუნიძეს 90 წელი შეუსრულდებოდა



ცხინვალი 1920

7

„ცხინვალი 1920“ - ფილმად გადაღებული ისტორიული სინამდვილე

საქართველოს მყარი პოზიცია კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობას გააძლიერებს!

აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე The Washington Times-ში გამოქვეყნებულ წერილში რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის მძიმე შედეგებსა და პიბრიდული ბრძოლის გააქტიურებულ სტრატეგიას აღწერს.




გლობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ქმედებებს და ქართველების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევაში მხილებულ პირებს სანქციებს უწესებს.

ლევან ღავითაშვილი: 20 ათასამდე მიწის მფლობელის მხარდგომით, სოლო ათეულობით კომპანიას უზრუნველყოფს შესაძლებლობა მიჰყვებოდეს!

სელისუფლებამ შექმნა ყველა მექანიზმი და სრულადაა მოხილვადი, რომ 2020 წლის რთულმა წარმატებით ჩაიაროს და ყველა მევენახე ფერმერმა შეძლოს მოსავლის დაბინავება.



ნის მნარმობელი კომპანიების მხრიდან ყურძნის შესყიდვაზე შემცირდებოდა მოთხოვნა და მევენახეებს მოსავლის დაბინავების პრობლემა შეექმნებოდა.




ნაციონალურმა, როგორც ჩანს, ადგილი ვერ განუსაზღვრეს სააკაშვილს და დე ფაქტო პრემიერად მისი ნამოყვანობა განიზრახეს.

გან ჯერ კიდევ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. აგრე, პრემიერად გიორგი ვაშაძის კანდიდატურაც უნდა დადასტურდეს, რაც არაა დასაშვად.

ასეთ ვითარებაში გაუგებარია საერთო პრემიერზე საუბარი, როცა მაჟორიტარებზე ვი არა, ვერაფერზე ვერ თანხმდებიან.

ცხელი პოლიტიკური ზაფხული გვიძახებს. წლებადედილი ზაფხული განსაკუთრებულია. აქეთ კორონავირუსი, იქით... ჰმ, იქით კი არა, აქედან მოდის სწორედ ის ცხელი ქარი, სულსაც რომ გვიხუთავს და გონებასაც რომ გვირევეს. ამ ქარს ბუნება კი არა, ადამიანები ატრიალებენ და პაერს სვავთი მუხტავენ. ამ უცნაურ ზაფხულის დღეებში ვირუსის ახალ ტალღას ხომ მოაქვს შიში და განსაცდელი, მაგრამ მოახლოებული არჩევნებისთვის მზადებასთან რა შედარებაა.



როგორ გადავლახავთ ცხელ ზაფხულს?!

გახდებიან კაპიტალისტები და მერე ააშენებენ ხალხისთვის დემოკრატიას. რაც არ უნდა იყოს, მის სახელწოდებაში ხალხის უფლება იგულისხმება. ბევრი საქოქმანო საკითხი ნაშრომად მოვიქცა და ამ დროისთვის, მაგრამ ეს ფიქრები ვის აინტერესებს, ახლა მთავარია, ხალხი დაარწმუნონ, რომ ქვეყანა „თავზე გვეცქევა“, რომ ეს „კრიმინალური ხელისუფლება“ დენდროლოგიურ პარკებს რომ აშენებს და, ცოტა არ იყოს, არც ხალხს აკლავს ყურადღებას, ხან პენსიას უმატებს, ხან ხელფასს, ხან რით ეხმარება და ხან რით, მაინც უნდა მოვიშროთ, ვერ გაამდიდრა მადალქრულეები, აი, ნახავთ მოვლენ ისინი (სხეუბი, ოპოზიციონერები) და ხუთ წელშია დადში თუ არა, ათ წელიწადში მაინც ააშენებენ ქვეყანას. ასაშენებელი კი ნამდვილად ბევრია. საქართველო მართო თბილისი ხომ არ არის. საქართველო არც მარტო „ქართული ოცნებაა“. სხვა პარტიებიც არიან.

თესს არ იმსახურებდეს. იმსახურებს რომელია!

ახლა თვალწინ მიდგას რეგიონები, ქალაქები, სოფლები. მარტო ქალაქ სამტრედიის მაგალითზე შემიძლია ვთქვა ბევრი რამ. ამ რამდენიმე ათწლეული წლის წინათ აყვავების გზაზე შემდგარი მხარე, სიცოცხლის სავსე, მოუხსნეს ხალხით, დღეს რომ ნახოთ, კუთხეში მდგარი, უხეროდ მასწავლებლის მიერ დატყუებულ ოროსან, საწყალ ბავშვს ჰგავს. და განა მხოლოდ – სამტრედიეა. რეგიონი მოელის პატრონის ხელს, სიღარიბის შიშით საზღვარგარეთ გაქცეული ხალხის შემობრუნებას, სამუშაო ადგილებს და მოკლედ რომ ვთქვათ, გამოცოცხლებას, ჟანგბადით გაჯერებულ ჰაერს!

ჩვენი დედაქალაქი კი განტივრთვას და იმ სიღარიბით დატვირთვას ელის, რაც მას შეეფერება. ჩვენ, ხალხს ბევრი რამის იმედს გვექონდა. გვეგონა, შეჩერდებოდა ძალიან უწონი და უბედურები უამრავსართულიანი სახლების შენება. ცარიელ ტერიტორიებზე კვლავ ქვიშა ქირსა და ბეტონს კი არა, სკვერებს, ბალებსა და მეტ მწვანე მასივებს ველოდით, სპორტურულ მოედნებსა და კულტურის სახლებს... (კაცმა რომ თქვას, არც ახლა არის გვიან, მაგალითად – ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე მისი რეაბილიტაციის დროს რამდენი კარგი რამ: კულტურული და საჯარო ობიექტები, შეიძლება გაკეთდეს!), მაგრამ არა, გრძელდება მიშასეული უთვალავსართულიანი სახლების პროექტების განხორციელება. ქალაქში იმდენია უკვე აშენებული, რომ მთელი საქართველოს მოსახლეობა ემიგრანტებიანად ხომ მო-

თავსდება და მოთავსდება, და ერთი იმდენი კიდევ დარჩება... ქალაქი საცხოვრებელი კორპუსებისა და ნაგებობების მიხედვით მილიონნახევრიანს კი არა, ხუთმილიონიან ქალაქს ემსგავსება...

ჩვენ ახალი საქართველო გვიანდა, კარგზე კარგი მთავრობით, ხალხთან რომ ითანაშრომლებს და თავისი მოღვაწეობით კითხვას არ გაუჩენენ არც მტერსა და არც მოყვარეს. სხვადასხვა ქვეყნის ძველი ისტორიებს თუ გადავხედავთ, წერილობით წყაროებში ვერ ვხვდებით რომის სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილებაზე უკეთესს, მერე ავტო, არც თუ ისე ძველ საუკუნეებში პარიზის კომუნა და მისი ტრაგიკული დასასრულიც გავისხენოთ, მერე მეოცე საუკუნის სასწაულები – კომუნისტების საბჭოთა კავშირი (უმეტესობას ცოცხლად გვახსოვს...) ახლა საუკუნეებში გამონათობილი დემოკრატია მძლავრობს მსოფლიოში და თავგადასავლებისა და ტანჯვის შემდეგ ჩვენც ამ გზას მივყავით. მაგრამ, ის მინდა ვთქვა რომ ყველა ეს ფორმაცია ხალხის სახელით, ხალხის კეთილდღეობისთვის მოდიოდა, მერე კი ვისთვის მოღვაწეობდა?

ჩვენთვის მისაბამ დემოკრატიულ ქვეყნებში იმდენ გაჭირვებულსა დაღარიბებს ვხვდებით, იმდენ უმუშევარსა და უბინაოს... ეჰ, ღმერთმა დაგვიფაროს ამ სიგლახეში ვინმეს ვეჯიბრებოდეთ, მაგრამ საინტერესოა, ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალიზმისა და დემოკრატიის შეთავსებად განვითარებას როცა აქვს ადგილი, მას მაინც დემოკრატიული სახელმწიფო ჰქვია თუ კაპიტალისტური? ჩვენი ოპოზიციონერები ხალხს რომ აყვავებს ჰპირდებიან, ნეტავ რა ხერხებით, რა საშუალებებით? ალბათ ჯერ თავად

კი არიან და საკმაოდ ბევრიც, მაგრამ, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ენდობა მათ იმიტომ კი არა, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან და ყველა გამკულაკებელია ან სისხლისმსმელი (ნაციონალიზმზე საუბარი). არა, ნამდვილად არ ჰგვანან ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთები მაინც, მაგრამ ცხედავთ და ვგრძნობთ, რომ მათში არ არის ის ძალა და სიმყარე, სახელმწიფოს მართვას რომ სჭირდება. ამიტომ ვერაფერობით მომავლის იმედზე ვართ. მომავალში უთუოდ გამოჩნდება ნიჭიერი და ქვეყნის ერთგული ადამიანები, შექმნიან ახალ პარტიას, ახალი ადამიანებით და სხვა კაცთმოყვარე პარტიებთან ერთად უთუოდ მოიპოვებენ ავტორიტეტს, უთუოდ გადახედვენ წარსულ მთავრობათა შეცდომებს, აღიჭურვიებიან ცოდნითა და განათლებით, დაიშასურებენ ხალხის ნდობას და სამართლიანი არჩევნების გზით მოვლენ ხელისუფლებაში. ამ იმედით ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და მოახლოებული არჩევნებში არ დაუშვებს არც ერთ შეცდომას, არ დაიდგამს იმ უღელს, რაც უკვე ოცდამეერთე საუკუნის სანყის წლებში დიდი შიშით და ტანჯვით ატარა.

ახლა კი დავუკვირდეთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ცთომილ თუ იშვიათად კეთილშობილურ ნაბიჯებს, არამედ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ გულსა და თავშიც ჩავიხედოთ. კარგად დავფიქრედეთ, გვინდა თუ არა თავისუფალი, ლამაზი ცხოვრება, გვინდა თუ არა ასეთი ცხოვრების შექმნისთვის შრომა და გარჯა, თუ გავაგრძელოთ ცხოვრება მხოლოდ სხვათა შეწყურვით, თუნდაც მთავრობისა და პარტიების იმედით...

მთავარი ისიც არის: როგორ გადავლახავთ ცხელ ზაფხულს და როგორ შევხედებით უფრო „ცხელ“ შემოდგომას! გულნარა სტურუა



საქართველოს განათლების სამინისტრომ ციფრული სწავლება რეალურად აქცია

კომპანია Microsoft-ი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვასა და უწყვეტად ნაყოფიერ თანამშრომლობას დადებით შეფასებას აძლევს. ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განათლების სისტემაში მუდმივად ნერგავს ინოვაციას – ვირტუალურ კლასებს, ჩეთობტებსა და თამაშებზე დაფუძნებულ სწავლებას, რათა ქვეყნის მასშტაბით მოხდეს პიბრიდული ტექნოლოგიებით გაჯერებული განათლების მიწოდება. ახალი რეფორმის გასააქტიურებლად სამინისტრომ სკოლებისთვის Microsoft 365 და Microsoft Teams პროგრამები შეარჩია.“ – ნათქვამია Microsoft-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.

სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია დეტალურად შეისწავლა სამინისტროს მიერ პანდემიისა და პოსტ-პანდემიის პერიოდში, დისტანციური სწავლებისას, მიაკროსოფტის საგანმანათლებლო პროდუქტების დაწინაურების პროცესი, უწყვეტის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები წარმატებულ ნიმუშად აღიარა და ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელი ანალიზი გამოაქვეყნა (Case Study).



პუბლიკაციაში მოყვანილია ნაწყვეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიხედვით ჩვენთვის ინტერვიუდან, სადაც ის დეტალურად საუბრობს Microsoft-სა და სამინისტროს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ და ხაზს უსვამს სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების მნიშვნელობას.

განსხვავება აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურქვის“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტეკოს-კაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით, შპს „ენგურქვის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს 2020 წლის 23 ივნისის ერთობლივი სხდომის ოქმი №6/4 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 6 ივლისის №23/4183 თანხმობის წერილის საფუძველზე აცხადებს აუქციონს შემდეგ მექანიზმებზე:

ადგილმდებარეობა, თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტი (წალენჯიხა, ფოცხოეწერი)

1. სახრახნი დაზგა - საწყ. ფასი 120 ლ. „ბე“ 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 1 ლ.
2. ლითონის საჭრელი დაზგა - საწყ. ფასი 170 ლ. „ბე“ 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 1 ლ.
3. გამზომი მოწყობილობები - საწყ.ფასი 120 ლ. „ბე“ 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 1 ლ.

ადგილმდებარეობა შიდროსადგური, გალის რაიონი დას. საბერიო

4. სახარატო დანადგარი - საწყ. ფასი 660 ლ. „ბე“ 60 ლ. ბიჯი 20 ლ. ბილეთის ფასი 5 ლ.
5. კაზ 4601 ცისტერნა - საწყ. ფასი 625 ლ. „ბე“ 60 ლ. ბიჯი 20 ლ. ბილეთის ფასი 5 ლ.
6. მერსედესი ავტობუსი - საწყ. ფასი 2070 ლ. „ბე“ 200 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილეთის ფასი 20 ლ.
7. ავტობუსი კავზ 3270 - საწყ. ფასი 850 ლ. „ბე“ 100 ლ. ბიჯი 30 ლ. ბილეთის ფასი 10 ლ.
8. ა/მ გაზ 950 ფურგონი - საწყ. ფასი 910 ლ. „ბე“ 100 ლ. ბიჯი 30 ლ. ბილეთის ფასი 10 ლ.

სარეალიზაციო ქონების მითითებულ საწყის ფასში შედის დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურქვის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საგარანტიო თანხის „ბე“-ს, და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურქვის“, ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT660000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურქვის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა 2020 წლის 22 აგვისტოს 10 სთ-დან 2020 წლის 31 აგვისტოს 13 სთ-მდე, ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება 2020 წლის 31 აგვისტოს 14 საათზე, მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურქვისთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურქვის“ ოფისი);
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- სანატარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ ფოტომასალა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურქვის“ ოფისი, ტელ. 595 227050

შპს ენგურქვისის აუქციონის მომწყობი კომისია

ჰიპიანა პარჯიშის დროს



ყველაზე ბინძური საზოგადოებრივი ადგილები ფიტნეს-დარბაზები და სპორტული კლუბები ყოფილა. ექსპერტიზების შედეგად გაირკვა, რომ ერთი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტულ იარაღს 50-დან 100 მომხმარებელამდე იყენებს, ამიტომაც ტრენაჟორებზე მიკრობების ოდენობა საზოგადოებრივი მოხმარების ტუალეტებში მათ ოდენობას აჭარბებს.

ამასთან დაკავშირებით მედიკოსები რჩევენ იძლევიან, რომ ვარჯიშის დროს სასურველი არ არის პირის, ცხვირისა და თვალების ხელით შეხება, ვარჯიშის შემდეგ კი აუცილებელია ხელის საპნით დაბანა.

დურხელას, გოზინაყის...

ნიმუზის, ნუშის, თხილის, არაქისისა და ფისტის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს, აცხადებენ ამერიკელი მედიკოსები.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კვირაში რომელიმე მათგანის ხუთი ულუფის მოხმარება გულის იშემიური სნეულების საშიშროების 20 პროცენტით ამცირებს. ყველაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტი კი, როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ნიგოზს აქვს.

სანიფათო ხელუხმარებით თამაში

საზრანბათის პროვინცია პროვანსში დიდად პოპულარულია თამაში პეტანკი, რომელიც რკინის ბურთების სროლაში მდგომარეობს. ამ თამაშის დროს ტრავმის მიღება მეტად ძნელია, მაგრამ...

1792 წელს პეტანკის თამაშის დროს, 38 კაცი დაიღუპა. მოთამაშეებმა შეჯიბრის მოწყობა მონასტრის ეზოში გადაწყვიტეს, სადაც დენთის საწყობი იყო. ბურთების მაგივრად კი ზარბაზნის ბირთვებს იყენებდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი ხელყუმბარა აღმოჩნდა.

„უფრო ძველი“ ეგობრის სიყვარული



ძალღმებს თავიანთი პატრონები კატებზე მეტად უყვართ. მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩატარეს – მათ პატრონებთან თამაშის შემდეგ ცხოველების სისხლში „სიყვარულის ჰორმონის“ – ოქსიტოცინის შემცველობა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ძალღმებში მისი დონე – 57,2, ხოლო კატებში კი მხოლოდ 12 პროცენტით იმატებდა.

მკვლევართა აზრით, შესაძლოა ადამიანმა ძალღმებზე უფრო მეტად იყვარებინა ადრე მოაშინაურა.

„სასიყვარულო“ დრო

ბრიტანელმა მეცნიერებმა სასიყვარულო ურთიერთობებისთვის საუკეთესო დრო დაადგინეს. მკვლევართა ვერსიით, სექსისგან ყველაზე მეტ სიამოვნებას პარტნიორები გამოთენიისას იღებენ. ამისთვის ოპტიმალური დრო დილის ექვსი საათი ყოფილა, როდესაც სისხლში ტესტოსტერონის ყველაზე მაღალი შემცველობაა. ამის პარალელურად ხდება ჰიპოტალამუსის აქტივაცია, რომელიც ამ ჰორმონს გამოიმუშავებს – სისხლში მისი ოდენობა უმაღლეს 25-50 პროცენტით იმატებს.

ამასთან, მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ დილის სექსი შეიძლება სახიფათოც იყოს, რასაც იმით ხსნიან, რომ სისხლში ტესტოსტერონის მაქსიმალური ოდენობის გაფრქვევიდან ერთ საათში, როცა ჰორმონის გამოიმუშავება კრიტიკულ დონემდე ეცემა, უმჯობესია ინტიმური ურთიერთობებისგან თავის შეკავება, რადგან ამან შესაძლოა ცუდად იმოქმედოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებულზე.



„გაჯეტური“ საფრთხე

სმარტფონის ხშირად გამოყენება სიელმის გამოწვევა შეუძლია. სამხრეთკორეელმა სპეციალისტებმა სიელმის მკურნალობაზე მყოფი ბავშვები გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ყველა მათგანი პლანშეტს და ტელეფონს დღე-ღამეში 4-დან 8 საათის განმავლობაში უყურებდა.

მედიკოსების მიერ მათთვის გაუფრთხილებლობის სმარტფონის აკრძალვის შემდეგ 12-დან 9 პაციენტს სიელმე გაუსწორდა.

ვენერას „მოვლინება“

ეპოქის ზღვაში მდებარე კუნძულ მილოსის მკვიდრმა, ბერქენმა გლესმა იორგოს კედროტასმა თავის მიწაზე ანტიკური ქანდაკება აღმოაჩინა, რომელიც ამჟამად პარიზის ლუვრის მუზეუმშია და მსოფლიო მას „ვენერა მილოსელის“ სახელით იცნობს.

იორგოს კედროტასმა ქანდაკება მინის ნაკვეთის ძველი ტაძრის ნანგრევებიდან განმენდისას აღმოაჩინა. მარმარილოს ფილით დაფარულ ნიშში მან განცალკევებულად შიშველი ტორსი და ნაჭერში გახვეული ფეხები ნახა. როცა ძებნა გააგრძელეს, ფრაგმენტთა ნარჩენიანი ფილას მიაგნეს. ერთზე ოსტატის სახელი იყო ამოკვეთილი: ალექსანდრე, ანიოქიელი. მენიდეს ვაჟი შვილი.



ბასილაშვილს ბრალი დაუმიძღვა!

საქართველოს პირველ ჩოგან ნიკოლოზ ბასილაშვილს სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი ბრალი დაუმიძღვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოსარჩელე ნელი დოროყაშვილის ინტერესების დამცველმა ორგანიზაციამ – „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გაავრცელა.

„საქართველოს პროკურატურამ გაიზიარა PHH-ის მოთხოვნა და ნიკოლოზ ბასილაშვილის მიმართ გამო-



ტანილი ბრალდების შესახებ დადგენილება დააზუსტა. გამოძიების მიმდინარეობისას საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით გამოიკვეთა, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილის მხრიდან ნელი დოროყაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა გენდერული ნიშნით განხორციელებულ არაერთი ფიზიკური ძალადობის ფაქტს. ამასთანავე, ნიკოლოზ ბასილაშვილი წლების განმავლობაში ახორციელებდა გენდერული ნიშნით სისტემატურ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, რის შედეგადაც ნელი დოროყაშვილი განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ბრალდება ნიკოლოზ ბასილაშვილს ედება ნელი დოროყაშვილის მიმართ გენდერული ნიშნით სხვადასხვა დროს განხორციელებულ ფიზიკური ძალადობის ოთხ ეპიზოდზე და სისტემატურ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას.

გაცნობებით, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმეზე სასამართლო სხდომა 20 ოქტომბერსაა ჩანიშნული.

ქობულეთში საოჯახო სასტუმროს მეპატრონეს კორონავირუსი დაუდასტურდა

კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევიდან ერთი აჭარაში გამოვლინდა. „კოვიდ-19“ ქობულეთში ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მეპატრონეს, შუახნის მამაკაცს დაუდასტურდა.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის რუსუდან შავიშვილის განცხადებით, დღევანდელი

შემთხვევა არ უკავშირდება ენ. ქობულეთის კლასტერს, ინფიცირებული კვეშირში იმყოფებოდა ერთ-ერთ პირთან, რომელსაც კორონავირუსი გუშინ თბილისში დაუდასტურდა.

ინფიცირებულის ახლობლები და საოჯახო სასტუმროს სტუმრები, სულ 18 პირი იზოლაციაში იმყოფებიან. მათგან 15

საკარანტინო სივრცეში გადაიყვანეს, სამი კი, თვითიზოლაციაში რჩება. ინფიცირებულის მდგომარეობა სტაბილურია. იგი ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 26 პაციენტი მკურნალობს. საქართველოში კორონავირუსის 15 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, გამოჯანმრთელდა 20 პაციენტი.

60 წლის ქალი მეორე სატულისიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა

თბილისში, საბურთალოზე, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოებს შორის არსებული ფანჯრის მეორე სართულიდან 60 წლის ქალი გადმოვარდა და გარდაიცვალა. ინფორმაცია ფორმულას შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სას-

წრაფო დახმარების ბრიგადის 60 წლის ქალი ადგილზე ცოცხალი დახვდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“
 რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

სასახლე „მტკვრის ბარდაკიდეებით“, ანუ როსტომ მეფის სასახლე


„მეფემან როსტომ“ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა, სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით“ ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.).

ჩვენი თბილის-ქალაქის არაერთგზის აოხრების გამო, მეფე რომ უცნობია მეფეთა სასახლე-პალატებზე ვალა-სა და „ინ-ავლაბარში“. ვალა უბანში ერთ დროს არსებულ სამეფო სასახლეზე თურქული წყარო გვამცნობს, რომ „ხანის სასახლე ამ ციხეშია“. წყარო გულისხმობს მეფე როსტომს (როსტომ ხანი, XVII ს.) და „ამ ციხეშია“ იმ დიდ ციხეს, სადაც რომ მდგარა „პალატის შენიღონი“ (ნარჩაყალა) და რომელიც როსტომ მეფეს „დაუტევებია“ (მიატოვა)...

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე მეფე გიორგი ააგებს მოკრძალებულ სასახლეს (დღ. როსტომ მეფის სასახლე წოდებული), რომელსაც, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებენ და სასახლე გადაკეთდება – თავდაპირველად, აქ ზარაფხანა განთავსდება და ფასადი შეიცვლება... შემდგომ, მას კერძო პირები დაეპატრონებიან და ფასადი ისევ შეიცვლება... სამტკოთა წყობის დროს ფასადს ისევ... და ვეღარ ვაგონებ, მტკვრა, მიჭირს და მომიტყვევო ეს სისუსტე მე, ძველი ტფილისის ქეშპის (მცველი).

დაუტევებია, რადგან უშენებია სასახლე „მტკვრის გარდაკიდებით“ (დღ. ერეკლეს მოედნის მიმდ. ტერიტორია), რომლის ქება-დიდებას შემოინახავს „მაჰნავაზიანი“ (XVII ს. პოემა) და რომელსაც ქება-დიდებას არ დააკლებს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (XVIII ს.) – „მთაწარის სასახლე, უღავეოდ, ტფილისის ერთ-ერთი მშვენიერება“.

მოგვიანებით, როსტომის სასახლის გვერდით, მეფე ვახტანგ VI-ემ ააშენა „სახლი პატიოსანი“, რომელსაც ოსმალები შემუსრავენ – „სასახლე ყუნბარით ააგეს და ზარზაზნითა ამტკვრის“ და რომლის ნანგრევებზე „შემდგომად აღაშენა მეფემან ირაკლი მეორემან ... და შამურსა აღამაჰმადხან ყაენმა“. ...სასახლე ესე – „მოთქროვილი ...მარმარილოს კედლითა“, სადაც 1750 წელს მეფე ერეკლემ მესამედ იქორწინა, საბოლოოდ აღიგვება პირისაგან მიწისა...




სამ ქილოზე მეტი თვითნაბადი ოქროს



სამხრეთ ამერიკაში, ვიქტორიას შტატში, ქალაქ ტარნაგულაში თვითნაბადი ოქროს ორი ზოდი აღმოაჩინეს, რომელთა ღირებულება \$350 000-ია. ზოდების ჯამური წონა 3.5 კილოგრამია. ბრენტ შენონი და ეთან ვესტი, ადამიანები, ვინც ოქრო იპოვეს, ავსტრალიური სატელევიზიო შოუს, „ოქროზე მონადირეები“ მონაწილეები არიან. ისინი ოქროს მეტალის დეტექტორის მეშვეობით ეძებდნენ.

ავსტრალიაში ოქროს მოპოვება 1850-იანი წლებიდან დაიწყო. ქალაქი ტარნაგულა ოქროს მარაგითაა გამორჩეული.



უნებრთში საზღვრებს კონტროლი გააძლიერებენ

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა რადიოინტერვიუში განაცხადა, მიზეზად ორბანი „კოვიდ-19“-ის ახალი შემთხვევების მატების თავიდან აცილებას ასახელებს. „როდესაც სასკოლო წელი დაიწყება, ჩვენ ვეღარ შევძლებთ, რომ საზღვრების გადაკვეთის იმ სისტემით ვიმუშაოთ, რომელიც ზაფხულში გვექონდა“, – განაცხადა ორბანმა. „როიტერის“ ინფორმაციით, არსებული რეგულაციებით უნგრეთში 14-დღიანი კარანტინი სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნიდან მომავალ მგზავრისთვის, სადაც „კოვიდ-19“-ის ახალი შემთხვევების რიცხვი მაღალია.

ატომური ნაღველები ნაპეი... გაიმძაფრეს

ჩინეთის უდიდესი საზღვაო ბაზა ჰაინანის კუნძულზე რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესის მქონეა. აქ განთავსებულია ჩინეთის ბირთვული რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ფლოტი, რომელიც მეორე დამრტყმელი საზღვაო ჯგუფისთვის წარმოადგენს ხერხემალს.

ბაზა მდებარეობს სამხრეთ ჩინეთის ზღვის ჩრდილოეთ კიდეში. აღმოსავლეთით მას ერთგვარი გასასვლელი, კარიბჭე გააჩნია წყნარ ოკეანეში და ტაივანის კუნძულთან. აღნიშნული ბაზის ყველაზე დამაინტრიგებელი ნიშან-თვისება და თავისებურება გახლავთ ის, რომ გამოქვაბულში გაკეთებულია საიდუმლო მინისქვეშა დოკი წყალქვეშა ნაგებობათვის. სწორედ სატელიტური ფოტოდაკვირვებით აღმოაჩინეს წყალქვეშა ნავი გამოქვაბულში შესვლის დროს. უცნობია, თუ რა სახის წყალქვეშა ნავია სატელიტურ ფოტოზე.

